ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4234288

ნომერი: AR1636165

თარიღი : 09.10.2018

გაცემის თარიღი : 25.10.2018

გაცნობის თარიღი : 29.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 17 შინდისელი გმირის ქუჩა N17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად შონია პ/ნ 62001029376
- სოხუმი თარხნიშვილის ქ. N 29\43

ორგანიზაცია:

- ს.ს.კრედო ბანკი კოდი: 205232238

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- ვინაიდან კიბის საფეხურის რეკონსტრუქცია (ასევე პანდუსის მოწყობაც უნდა განხორციელდეს) ხორციელდება საკადასტრო საზღვრების გარეთ ქალაქის ტერიტორიაზე, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.
- გათვალისწინებული უნდა იყოს შშმო პირთატვის პანდუსი, რაც უნდა მოეწყოს მოეწყოს 2014 წლის 06 იანვრის #41 დადგენილების შესაბამისად (იხ. დანართი).
- საკადასტრო გეგმაზე დატანილ იქნას პანდუსის და კიბის ზუსტი განთავსების ადგილი.
- ფოტომონტაჟზე დამატებით დაიტანეთ მთლიანი ტროტუარის სიგანე, ელექტრო დაფიდან ტროტუარამდე დარჩენილი სიგანე. გაითვალისწინეთ: დაცული უნდა იყოს ტროტუარზე ფეხისმოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილებისთვის გამოყოფილი ტროტუარის ნორმატიული ზომა 1.80 მ.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.